

# საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის და ვაკის პარკის კინომოდრაობის

## მე-2 სამუშაო შეხვედრის ოქმი

15 სექტემბერი 2016 წელი

ქ. თბილისი

### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ზურაბ მაღალაშვილი - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი;
2. ნინო კუხალაშვილი - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე.
3. თინათინ ჩავლეიშვილი - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის იურისტი;
4. ნინო ახვლედიანი - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის პიარ მენეჯერი;
5. ლევან ლომჯარია - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის სპეციალისტი;
5. ნოდარ რაზმაძე - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი;
6. ნანა დოლიძე - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელოვნების და განათლების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.

### ვაკის პარკის კინომოდრაობის წარმომადგენლები:

1. თეკლე მაჭავარიანი - პროდიუსერი;
2. ქეთევან მაჭავარიანი - რეჟისორი, სცენარისტი;
3. ელენე მარგველაშვილი - პროდიუსერი;
4. ლაშა ცეკვიტინიძე - რეჟისორი, სცენარისტი;
5. გიორგი რაზმაძე - კინომცოდნე;
6. რატი ჯეზაშვილი (ონელი) - რეჟისორი, პროდიუსერი;
7. ირინა დემეტრაძე - კინომცოდნე;
8. ნესტან კვინიკაძე - სცენარისტი;
9. ვახტანგ ჯაჯანიძე - რეჟისორი, სცენარისტი;
10. თინათინ კვინიკაძე - კინომხატვარი;
11. კონსტანტინე კალანდაძე - რეჟისორი, სცენარისტი;



კინომოდრაობის სპიკერად მოძრაობის წარმომადგენლებმა დაასახელეს - თეკლე მაჭავარიანი;

**დღის წესრიგი:** ვაკის პარკი კინომოდრაობის წარმომადგენლებთან პირველი შეხვედრისას დასმული საკითხების განხილვა.

### **შეხვედრის მიმდინარეობა:**

შეხვედრა გახსნა ნანა დოლიძემ: იგი მიესალმა დამსწრეებს და განაცხადა, რომ კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებს, რომელთა შეხვედრაზე დასწრების ინიციატივა კინომოდრაობას ეკუთვნოდა - ერთგვარი მედიატორების როლი აკისრიათ კინოცენტრსა და ვაკის პარკის კინომოდრაობის წარმომადგენლთა შორის, თუმცა აღნიშნა, რომ იგი ვერ ხედავს განხეთქილების საფუძველს და „მხარეთა“ მიზნების სხვაობას, რადგან ყველა შეკრებილის საერთო სურვილი ქართული კინოს განვითარება და ხელშეწყობაა, ხოლო ის საკითხები, რომლებზეც განსხვავებული შეხედულებები არსებობს, ღიად, გამჭვირვალედ და საჯაროდ მსჯელობისა და საკითხების ღრმად შესწავლის საფუძველზე უნდა გადაწყდეს.

თეკლე მაჭავარიანმა დასვა კითხვა, რომ კინომოდრაობის წარმომადგენლებს აინტერესებთ, რა ნაბიჯები გადაიდგა კინოცენტრის მხრიდან წინა შეხვედრისა და მათი წინადადებების წარმოდგენის შემდეგ, მან კმაყოფილება გამოთვა, რომ შეხვედრას სამინისტროს წარმომადგენლებიც ესწრებიან, რადგან იმედოვნებენ, რომ მეტი ყურადღება მიექცევა კინოს მწირი დაფინანსების თემას.

ზურაბ მაღალაშვილმა აღნიშნა, რომ კინოს დაფინანსების გაზრდის საკითხზე ის სერიოზულად მუშაობს და მოსალოდნელია პოზიტიური ცვლილებები ამ მიმართულებით. გარდა ამისა, მან განაცხადა, რომ სანამ მომდევნო საკითხებზე მსჯელობას შეუდგებიან, განმარტონ იურისტებმა, ირღვევა თუ არა კანონი ლოტოტრონის პრინციპით კომისიის წევრების შერჩევისას, მან დასძინა, რომ შემდეგ ყველა დასმულ კითხვას გაეცემა ამომწურავი პასუხი.

ნინო კუხალაშვილმა განმარტა, რომ სამინისტროდან შემოსული წერილის პასუხად უკვე გადაიგზავნა შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) ასლი, რომლითაც დამტკიცებულია კომისიის წევრების შერჩევის პროცედურა ლოტოტრონის პრინციპით. აქედან გამომდინარე, არანაირ კანონდარღვევაზე არ შეიძლება იყოს საუბარი.

ზურაბ მაღალაშვილმა გააკეთა მოკლე მიმოხილვა იმ პრინციპებთან დაკავშირებით, რომელთა საფუძველზეც ხდებოდა კომისიის დაკომპლექტება კინოცენტრის დაარსებიდან დღემდე. მან აღნიშნა, რომ თავიდან, როდესაც კინოცენტრი ახალი დაარსებული იყო, მოქმედებდა ეგრედ წოდებული „მუდმივი“ კომისიის პრინციპი, რომელიც შემდგომ შეიცვალა ერთჯერადი კომისიის წესით, რადგან იმ პერიოდში ჩასატარებელი კონკურსების რაოდენობა იყო ძალიან ცოტა (წელიწადში 1-2), არ არსებობდა პრობლემა კვალიფიციური საექსპერტო კომისიის წევრების შერჩევის საკითხში. თანდათანობით გაიზარდა წლის განმავლობაში ჩასატარებელი კონკურსების რაოდენობა და შესაბამისად საჭირო გახდა დიდი რაოდენობით კვალიფიციური საექსპერტო კომისიის წევრების მოძიება. თითოეული კონკურსისათვის ცალკე კომისიების შექმნა წლების მანძილზე კინოსაზოგადოებაში ბადებდა ბევრ კითხვას და ეჭვს, რადგან ეს წესი კინოცენტრის დირექტორს აძლევს საშუალებას, კონკრეტული პროექტის ინტერესებიდან გამომდინარე



დააკომპლექტოს კომისიის წევრების შემადგენლობა. სწორედ ამ მექანიზმზე უარის თქმა გახდა მიზეზი, კომისიის ლოტოტრონის პრინციპით დაკომპლექტებისა.

**ელენე მარგველაშვილმა** აღნიშნა, რომ კინომოდრობამ იურიდიულ ჭრილში საკითხის განხილვა დაიწყო, რადგან მისი წარმომადგენლები თვლიან, რომ არ მიეცა სათანადო ყურადღება მათ წინა შეხვედრას და მოთხოვნებს.

**ირინა დემეტრაძემ** აღნიშნა, რომ ლოტოტრონის პრინციპით კომისიის დაკომპლექტებას აქვს ხარვეზები, რადგან ამ პრინციპით კომისიის წევრების შერჩევისას არსებობს რეალური რისკი, დაირღვეს სხვადასხვა თაობების და განსხვავებული ხედვის მქონე პირთა ბალანსი კომისიაში, რომ შესაძლებელია, არც თუ ისე მაღალი პროფესიონალიზმის მქონე და არც თუ ისე მიუკერძოებელი პირებიც მოხვდნენ ჟიურის შემადგენლობაში.

**ლაშა ცქვიტინიძემ** გამოთქვა უკმაყოფილება, რომ კინოცენტრის დირექტორმა არ გააკეთა განცხადება მაშინ, როცა კომისიის წევრმა შეურაცხყოფელი კომენტარი გააკეთა კონკურსანტის ნამუშევრის შეფასებისას, რაზეც **ზურაბ მაღალაშვილმა** უპასუხა, რომ მან თავისი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით გამოაქვეყნა კინოცენტრის ოფიციალურ Facebook გვერდზე.

**ვახტანგ ჯაჯანიძემ** დასვა 3 კითხვა:

1. კომისიის წევრის მიერ არანორმატიული ლექსიკის გამოყენებით კონკურსანტის ნამუშევრის შეფასება იძლეოდა თუ არა იმის საუძველს, რომ გაუქმებულიყო აღნიშნული კონკურსის შედეგები.
2. რომელი ქვეყნების პრაქტიკისა და გამოცდილების საფუძველზე იქნა შემოღებული ლოტოტრონი და ეწინააღმდეგება თავისივე შემოთავაზებულ სტრატეგიას, რომლის საფუძველზეც ის დაინიშნა დირექტორის პოსტზე.
3. რატომ არ გამოცხადდა მორატორიუმი დოლურას პრინციპით კომისიის დაკომპლექტებაზე.

**ნინო კუხალაშვილმა** უპასუხა პირველ კითხვას, მან აღნიშნა, რომ ქულების სიტყვიერი არგუმენტაცია, თუნდაც არანორმატიული ლექსიკის გამოყენებით, არ შეიძლება გახდეს კონკურსის შედეგების ბათილობის საფუძველი, რადგან ნორმატიული აქტის საფუძველზე პროექტები ფასდება მხოლოდ დაწერილი ქულების შეჯამებით და არა სიტყვიერი კომენტარების ანალიზის შედეგად. წერილობითი არგუმენტაცია შემოღებულ იქნა იმის გამო, რომ ხშირად კინოსექტორის წარმომადგენლებს აინტერესებდათ შეფასებების დასაბუთება. რომ ანალოგიური შემთხვევის განხილვისას სასამართლოში, სიტყვიერი არგუმენტაცია არ იქნა მიღებული კონკურსის შედეგის ბათილად ცნობის საფუძველად.

**ელენე მარგველაშვილმა** აღნიშნა, რომ კანონში კინოს შესახებ მითითებულია, ცენზურის დაწესების დაუშვებლობა და აღნიშნული კონკურსის შედეგები იმიტომ უნდა ყოფილიყო ბათილი, რომ შეიძლება ეს პრეცედენტი (როდესაც კომისიის ერთ-ერთმა წევრმა, არანორმატიული ლექსიკის გამოყენებით მოახდინა შეფასების არგუმენტირება) კინოცენტრის მხრიდან ცენზურის დაწესების მცდელობად ჩაითვალოს.



ნოდარ რაზმაძემ განაცხადა, რომ პოლემიკის მოსმენის პროცესში გაუჩნდა კითხვები და მას პირველ რიგში აინტერესებს, რა გზით დააკომპლექტებდნენ კინომოდრაობის წარმომადგენლები კომისიას, რა მიაჩნიათ მათ იდეალურ, ყველასათვის მისაღებ პრინციპად.

კინომოდრაობის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ თავიანთი მოსაზრებები და წინადადებები, უკვე წერილობით შეიტანეს როგორც კინოცენტრში, ისე კულტურის სამინისტროში და კვლავ გაიმეორეს კითხვა, ვისთან ქონდა კინოცენტრის დირექტორს შეხვედრები და ვისთან გაიარა მან კონსულტაციები, როდესაც დოლურას პრინციპი შემოიღო. ვაკის პარკის კინომოდრაობის უდიდესი ნაწილი, მისი მხარდამჭერები და წევრები ამ პროცესში არ იყვნენ ჩართული.

ზურაბ მაღალაშვილმა აღნიშნა, რომ დირექტორად დანიშვნის პირველი დღეებიდანვე დაიწყო შეხვედრები და კონსულტაციები კინოდოკუმენტალისტებთან, რეჟისორებთან, კრიტიკოსებთან. იგი ესაუბრა კინოაკადემიის წარმომადგენლებს, გარდა ამისა ქონდა ინდივიდუალური შეხვედრები კინოსექტორის წარმომადგენლებთან. მან აღნიშნა, რომ მისთვის პრინციპულად მიუღებელია ჟიურის დაკომპლექტების ისეთ სისტემაში დაბრუნება, რომელშიც ჩადებულია კონკრეტული პროექტისათვის ხელსაყრელი საექსპერტო კომისიის მორგების მექანიზმი და სანამ ის დირექტორის თანამდებობას იკავებს, არ დაუშვებს ამის გამეორებას.

კინომოდრაობის წარმომადგენლებმა მიმართეს კინოცენტრის დირექტორს, მიეწოდებინა მათთვის იმ ადამიანთა სია, ვისთან კონსულტაციების შემდეგ მიიღო მან ლოტოტრონის პრინციპის შემოღების გადაწყვეტილება, ზურაბ მაღალაშვილმა უპასუხა მათ, რომ იგი მიაწვდის კინომოდრაობას წერილობით ჩამონათვალს ამ ადამიანებისა.

ნესტან კვინიკაძემ ყურადღება გაამახვილა კონკურსზე, რომელშიც მისი პროექტი იღებდა მონაწილეობას და დასვა კითხვა, რამდენად ლოგიკურია, როდესაც პროექტი, რომელიც პირველი ტურის შემდეგ ქულებით მეორე ადგილს იკავებდა, (და ერთი ქულით ჩამორჩებოდა ყველაზე მაღალი ქულებით შეფასებულ პროექტს) პროექტს მეორე ტურის შემდეგ, რომელიც პროექტის პრეზენტაციას გულისხმობს, გადასულიყო მეშვიდე ადგილზე და ვერ მიეღო დაფინანსება, გარდა ამისა, მან დასვა კითხვა, რატომ არ აიტვირთა კონკურსის შედეგები იმავე სადამოს, როგორც სხვა კონკურსების შემდეგ ხდება. გასაუბრებისას და გამოთხოვილი შეფასებების მიხედვით ცხადია, რომ ჟიური სიმპათიით იყო განწყობილი პროექტის მიმართ. იმისთვის რომ პროექტი აუტსაიდერი გამხდარიყო, საჭირო იყო ყველა ჟიურის წევრს მინიმალური ქულა დაეწერა მეორე ტურში, რაც წარმოუდგენლად მიაჩნია, რადგან ჟიურის წევრებს არც ერთი გაურკვეველი საკითხი ან პასუხგაუცემელი შეკითხვა არ ჰქონდათ გასაუბრების დროს.

ზურაბ მაღალაშვილმა განმარტა, რომ მეორე ტურში პროექტების პრეზენტაციების მოსმენისა და მსჯელობის შემდეგ, მას კომისიის წევრებმა აცნობეს, რომ მეორე ტურში გადასული თითქმის ყველა პროექტი კარგია, მაგრამ საკონკურსო ფონდის სიმცირის გამო, ვერ ხერხდება 4-ზე მეტი პროექტის დაფინანსება. ზურაბ მაღალაშვილმა ფინანსურ მენეჯერთან კონსულტაციის შემდეგ, გამოთქვა სურვილი, რომ, თუ იურიდიული კუთხით ამის საშუალება იქნებოდა, გაზრდილიყო საკონკურსო ფონდი 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარით. ვინაიდან სამუშაო დღე დამთავრებული იყო და იურისტი არ იმყოფებოდა ადგილზე, საკითხის გადაწყვეტა გადაიღო მეორე დღისთვის. კინოცენტრის იურისტებთან - თინათინ ჩავლეიშვილთან და ნინო კუხალაშვილთან კონსულტაციების შემდეგ დადგინდა, რომ იურიდიულად ვერ მოხერხდებოდა ფაქტობრივად უკვე დასრულებული კონკურსის ბიუჯეტში ცვლილების შეტანა. სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია



კონკურსის შედეგების დაგვიანებით გამოქვეყნება. რაც შეეხება ნესტან კვინიკაძის პროექტს, შეფასება გააკეთეს კომისიის წევრებმა და მათ სამუშაო პროცესსა და გადაწყვეტილების მიღებაში ჩარევის უფლება არ აქვს კინოცენტრის არც ერთ თანამშრომელს, დირექტორის ჩათვლით.

კინომოდრაობის წარმომადგენლები კვლავ დაუბრუნდნენ საკითხს, ლოტოტრონის პრინციპის შეჩერებისა და უახლოესი კონკურსის (სადებიუტო) შემთხვევაში წინა პრინციპით ჟიურის დაკომპლექტების თაობაზე.

რატი ჯებაშვილმა განაცხადა, რომ თუ კინოცენტრის დირექტორი არ აიღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას, თავისი შეხედულებისამებრ შეარჩიოს კომისიის წევრები, მაშინ გამოდის, რომ ის თავს არიდებს კინოცენტრის დირექტორის, როგორც მენეჯერის მთავარ ფუნქციას, იტვირთოს პასუხისმგებლობა მის მიერ დანიშნული ჟიურის წევრების კომპეტენტურობასა და მიუკერძოებლობაზე. მანვე აღნიშნა, რომ თუ არ გამოცხადდება მორატორიუმი ლოტოტრონის პრინციპით კომისიის დაკომპლექტებაზე, მაშინ ამ შეხვედრაზე სალაპარაკო აღარაფერი აქვთ.

ზურაბ მაღალაშვილმა აღნიშნა, რომ ლევან ლომჯარიას უკვე დავალებული აქვს სხვადასხვა უცხო ქვეყნების პრაქტიკის შესწავლა და იგი (ლომჯარია) მზად არის, მოახსენოს დამსწრეებს უკვე გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ. გარდა ამისა, მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ლომჯარიას, როგორც კინოცენტრის ოფიციალურ წარმომადგენელს, კვლევის პროცესში ხელი მიუწვდება ისეთ მასალებთანაც, რომლებსაც არ ასაჯაროებენ ამა თუ იმ ქვეყნის კინოცენტრების (ან ანალოგიური ორგანიზაციების) წარმომადგენლები და აქედან გამომდინარე ამ მასალების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, კვლევის შედეგები იქნება უფრო სრული და სრულყოფილი, ვიდრე სხვა გზებით მოპოვებული ინფორმაციაზე დაფუძნებული კვლევა.

ლევან ლომჯარიამ გააკეთა მოკლე მიმოხილვა უკვე შესწავლილი მასალებისა, მაგრამ ვინაიდან იგი ჯერ სამუშაო პროცესშია, ხანგრძლივი და სრული პრეზენტაციის გაკეთება სამომავლოდ გადაიდო.

თეკლე მაჭავარიანმა აღნიშნა, რომ კინომოდრაობის წარმომადგენლებსაც აქვთ შესწავლილი და წერილობით წარმოდგენილი რამოდენიმე ქვეყნის პრაქტიკა.

ნოდარ რაზმაძეს გამოთქვამდა ინტერესს და სურდა დეტალურად გაცნობოდა ჯგუფის წევრების მოსაზრებებს ახალ მოდელთან დაკავშირებით, მან გამოთქვა სურვილი გამხდარიყო სამუშაო ჯგუფის მონაწილე, თუმცა ასევე აცხადებდა რომ კინოს სფეროში მას პროფესიული განათლება და გამოცდილება არ გააჩნია.

კინომოდრაობის წარმომადგენლების მხრიდან კვლავ გაჟღერდა კითხვა ზურაბ მაღალაშვილის მიმართ, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა იგი, გაითვალისწინებდა თუ არა მათ წინადადებას, მორატორიუმი გამოცხადებულიყო ლოტოტრონის პრინციპით კომისიის წევრების დაკომპლექტებაზე და გამოთქვეს სურვილი, ახალი სისტემის შემოღებად, ძველი პრინციპით დაკომპლექტებულიყო სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების საკონკურსო კომისია. მათ აღნიშნეს, რომ ეს არ არის შეხვედრა სადაც შესაძლებელია რომელიმე კონკრეტულ მოდელზე შეთანხმება, მათი თქმით, შეხვედრის მიზანია მოისმინონ პასუხები კითხვებზე და კინოცენტრის ხელმძღვანელობამ დაეფიქსიროს პოზიცია, მზად არის თუ არა ის რეალურად გადადგას ნაბიჯი ცვლილებისკენ.

ზურაბ მაღალაშვილმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ მისთვის კატეგორიულად მიუღებელია ძველი პრინციპი და გააცნო დამსწრეებს თავისი გადაწყვეტილების შესახებ:



1. 2016 წლის 10 ოქტომბრამდე კინოცენტრის მიერ მომზადდება ევროპული ქვეყნების კინოცენტრების მიერ საექსპერტო კომისიების კომლექტაციის, პროექტების შეფასების კრიტერიუმების და კონკურსებთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხების კვლევა და ქართული კინოსაზოგადოებისთვის მოეწყობა აღნიშნული კვლევის შედეგების პრეზენტაცია.
2. ჩამოყალიბდება სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შევლენ როგორც ვაკის პარკის კინომოდრაობის, ასევე კინოცენტრის და კინოსექტორის სხვადასხვა წარმომადგენლები, რომლებიც უცხო ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით და ქართული რეალობისა და მენტალობის გათვალისწინებით განიხილავენ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებს, შეიმუშავენ კომისიის დაკომპლექტების ახალ წესს, პროექტების შეფასების კრიტერიუმებს და შექმნიან კონკურსების ჩატარების სამართლიან და მიუკერძოებელ სისტემას. სამუშაო ჯგუფის მიერ ახალი წესების შემუშავების ბოლო ვადად განისაზღვროს 2016 წლის 10 ნოემბერი (კომისიის შემადგენლობაში დაცული იქნება სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენელთა რაოდენობრივი ბალანსი).
3. გაუქმდება კომისიის დაკომპლექტების წესი ლოტოტრონის პრინციპით, კინოცენტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.
4. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებით, გადაიდება სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2017 წელს წარმოების დაფინანსების კონკურსის ჩატარების თარიღი. საბუთების მიღების ბოლო ვადად განისაზღვრება 1 ნოემბერი.
5. 12 ნოემბრამდე მიღებული იქნება გადაწყვეტილება კონკურსების ჩატარების ახალი, შეთანხმებული წესით ჩატარების თაობაზე და შევა შესაბამისი ცვლილებები საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო რეგულაციებში.
6. 15 ნოემბერს სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის კონკურსში მონაწილე პროექტები გადაეცემა ახლად შექმნილ საექსპერტო კომისიას, რომელიც 2016 წლის 26 დეკემბრამდე ჩაატარებს სამუშაოებს და წარუდგენს კინოცენტრის დირექტორს რეკომენდაციას დასაფინანსებელი პროექტების შესახებ.

დამსწრეთათვის მისაღები აღმოჩნდა კინოცენტრის გადაწყვეტილება.

ნოდარ რაზმაძემ აღნიშნა, რომ ძალზე სასარგებლოდ და საინტერესოდ მიაჩნია მსგავსი შეხვედრების ჩატარება და მომავალშიც სიამოვნებით დაესწრება ამგვარი ნაყოფიერი შეხვედრების მიმდინარეობას.

ზურაბ მაღალაშვილმა, მაღლობა გადაუხადა კულტურის სამინისტროსა და კინომოდრაობის წევრებს შეხვედრაზე მობრძანებისთვის და იმედი გამოთქვა, რომ მომავალშიც კინოსექტორის აქტიური ჩართულობის რეჟიმში ერთად მოემსახურებიან საერთო საქმეს - ქართული კინოს განვითარებას და ხელშეწყობას.

სამუშაო შეხვედრა დაიწყო 2016 წლის 15 სექტემბერს 17 საათზე და დასრულდა 20 საათზე.

შეხვედრის შემდეგ ტელევიზიებთან მოკლე კომენტარები გააკეთეს როგორც კინოცენტრის დირექტორმა, ისე კინომოდრაობის წარმომადგენლებმა.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებისა და კინომოდრაობის წარმომადგენლებს შორის სამუშაო შეხვედრის ოქმი შეადგინა კინოცენტრის იურისტმა თინათინ ჩავლეიშვილმა.



საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული  
ცენტრის დირექტორი



ზურაბ მაღალაშვილი

კინომოძრაობის სპიკერი



თეკლე მაჭვარიანი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის  
სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის  
დირექტორი




ნოდარ რაზმაძე

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის  
სამინისტროს ხელოვნებისა და განათლების  
დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი



ნანა დოლიძე

სხდომის მდივანი



თინათინ ჩავლეიშვილი